

**სულხან-საბა ორბელიანის „სასულიერო კრებული“:
შემადგენლობა და დანიშნულება**

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ხელნაწერი A-303 (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციიდან), რომელიც სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფს წარმოადგენს (ხელნაწერის აღწერილობა გამოქვეყნებულია: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1985, 10-13).

ხელნაწერის პირველი ნაწილია (რაც მთელი კრებულის დაახლოებით ერთ მესამედს მოიცავს) „საქრისტიანო მოძღვრება“, ანუ „სამოთხის კარი“, – ტექსტი, რომელიც დაწერილია კითხვა-პასუხის სახით მოძღვარსა და მოწაფეს შორის და რომელიც მიზნად ისახავს, მოკლედ ჩამოაყალიბოს ქრისტიანული სარწმუნოების მოძღვრების არსი, ამასთანავე, ქრისტიანული ზნეობისა და ღმრთისმსახურების არსებითი საფუძვლები.

დიალოგად გამართული ტექსტის ვრცელი, ხელნაწერისეული სახელწოდებაა: „საქრისტიანო მოძღვრება, პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი: სარწმუნოებისათვის მართლისა და უბიწოსა შჯულისა, რომელი მოგვეცა წმიდათა მამათა მიერ“. ეს თხზულება, როგორც ჩანს, ადრიდანვე იყო საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული. „საქრისტიანო მოძღვრების“ გადანაწერები, ამ ავტოგრაფთან ერთად, ოცზე მეტ ქართულ ხელნაწერშია მოთავსებული, რაც უეჭველად მეტყველებს მის მიმართ გამორჩეული ყურადღებისა და ფართო საჯარო-საეკლესიო გავრცელების შესახებ. საყურადღებოა, რომ, სხვადასხვაგვარ გადამუშავებათა ჩათვლით, ამ ტექსტს არაერთი უშუალო გამოხმაურება მოჰყოლია თანამედროვეთა თუ მომდევნოთა მხრივ. ღირსშესანიშნავია, ასევე, მისი ადგილი ქართულ კათოლიკურ წერილობითს მემკვიდრეობაში. საყურადღებოა კორნელი კეკელიძის მცირედ გადაჭარბებული და ტერმინოლოგიურად სადავო განცხადება,

რომელიც, მაინც ასახავს გარემოს სურათს: „ქართულ ენაზე დაიწერა მხოლოდ ერთი პაპისტური თხზულება; ეს არის „სამოთხის კარი“ საბა-სულხან ორბელიანისა“ (კეკელიძე 1980, 78).

ხელნაწერის ამ მონაკვეთის, – „საქრისტიანო მოძღვრება: სა-მოთხის კარი“, – ტექსტი პირველად გამოიცა 1963 წელს ივანე ლო-ლაშვილის მიერ, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა კრებულის მესამე ტომში (ორბელიანი 1963, 225-334), ხოლო მეორედ ის გამოსცა ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრმა (მერაბ ლაღანი-ძის რედაქციით), 2004 წელს, ცალკე წიგნად, სერიის – „საბა“ – პირველ გამოშვებად (ორბელიანი 2004, 17-107). უნდა ითქვას, რომ, კერძოდ, ეს წიგნი, გამოქვეყნებული 2004 წელს, ამ თხზულების პირველი და ერთა-დერთი ცალკე გამოცემაა. ყურადღსაღებია, რომ ორივე გამოცემა ემ-ყარება სწორედ ამ ავტოგრაფულ ხელნაწერს, საბასეულ „სასულიერო კრებულს“, თუმცა მეორე გამოცემაში, პირველთან შედარებით, შეტა-ნილია არაერთი შესწორება თუ დაზუსტება.

თავად საბასეული ხელნაწერი, რომელიც სრული, მთლიანი სა-ხით არასოდეს გამოქვეყნებულა, ამ თხზულების გარდა, მოიცავს კი-დეც არაერთ სხვა ტექსტს, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ზომითა და დანიშნულებით. ყურადღებას იმსახურებს ზოგიერთი მა-თგანის სათაურში გამოტანილი საგანგებო მითითება, რომ ესა თუ ის ტექსტი თავად სულხან-საბა ორბელიანის „ნამუშაკვია“, ანუ მის მიერ არის თარგმნილი, შედგენილი თუ გამზადებული.

ეს ავტოგრაფული კრებული, რომელიც საბას, როგორც ჩანს, თან ჰქონია თავისი რომაული მომლოცველობისას, სავარაუდოდ, გადა-წერილია მისი პირადი საჭიროებისათვის და შედგენილია კათოლი-კური მოძღვრებისა თუ საღმრთისმსახურო ცხოვრების საფუძვლიანად გაცნობა-შეთვისების მიზნით.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავად შედგენა ამ კრებულისა, რო-მელშიც სასულიერო-საეკლესიო ხასიათის ტექსტებია გაერთიანებული, განაპირობა საბას ევროპაში გამგზავრების აუცილებლობამ, რათა იგი აღჭურვილი ყოფილიყო იმ ცნობებითა და მონაცემებით, რომლებიც კათოლიკურ სამყაროში მოხვედრისთანავე აუცილებელი იქნებოდა აღმოსავლური საქრისტიანოდან ჩასული ადამიანისათვის.

ამდენად, „სასულიერო კრებულში“ მოთავსებულია კათოლიკური შინაარსის ტექსტები, რომელთა ერთად შეკრება საჭიროდ მიუჩნევა სულხან-საბა ორბელიანს, მაგრამ საგანგებო კვლევას საჭიროებს არა მარტო ის წყარო (თუ წყაროები), რომელთაც ეფუძნება ისინი, არამედ ამ ტექსტების მიმართება-დამოკიდებულება კათოლიკური მოძღვრების სხვა კრებულებთან თუ სახელმძღვანელოებთან (თუნდაც ქართულად), რომლებიც მანამდეც და შემდგომაც შექმნილა თუ გამოცემულა.

„საქრისტიანო მოძღვრების“ მომდევნოდ, რომლითაც იხსნება კრებული, ხელნაწერ წიგნში შეტანილია:

შვიდნი ფსალმუნნი შეწყალებისანი;

ლოცვანი ცოდვათა მისატევებელნი, გამოკრებულნი ([მათ შორის]: ლოცვანი შვიდთა ეკლესიათანი ხუთთა წყლულებათათვს ქრისტესა, ცოდვათა მიტევებისათვს სათქმელნი);

ლოცვა მიცვალებულთათვს;

აღთქმა ქრისტიანეთა, რომელთა ენებოს სწავლებად კეთილისა გზისა ჟამსა სიკუდილისასა;

შენდობის წიგნი წმიდის პაპისა რომაელისა, მიტევებისათვს ცოდვილთა მონანულთა;

ლიტანია ყოვლად წმიდისა;

სახარებათაგან გამოკრებილნი ლოცვანი ([მათ შორის]: ლოცვა სამართლისათვს დევნულთაგან; ლოცვა სასუფევლის მრავალსაგატროთა თხოისათვს; ლოცვა თხოისა და კარის რეკისა და ძიებისათვს; ლოცვა უმჯობესის თხოისათვს; ლოცვა ღელვის აღტეხისათვს; ლოცვა ეშმაკისაგან დაცვისათვს; ლოცვა სულიერთა სამკალთათვს; ლოცვა ტვირთმძიმეთაგან; ლოცვა უქმისა სიტყვისა ლტოლვისათვს; ტექსტს წინ უძღვის: წმიდის სახარებათაგან გამოკრებულთა ლოცუათა საძიებელი);

თვენი (აპანსა, რომელ არს იანვარი; სარწყუნისსა, რომელ არს ფებერვალი; მირკანსა, რომელ არს მარტი; იგრიკას, რომელ არს აპრილი; ვარდობისას, რომელ არს მაისი; მარიალისსა, რომელ არს ივნისი; თიბისას, რომელ არს ივლისი; ქველთობისა, რომელ არს აგვისტოსი; ახალწლისა, რომელ არს სექტემბერი; სთვლისას, რომელ არს ოქტომბერი; ტირისკონსა, რომელ არს ნოემბერი; ტირისდენსა, რომელ არს დეკემბერი);

ლოცვა სავარდისა განწესებული ([თან ერთვის ამგვარი განმარტება]: წმიდამა მარიამ ღმრთისმშობელმან მოცა სავარდის კრიალესონი წმიდა თომა აქვინელსა, დომენიკანს მამასა);

ლოცვა სრვის მოსვლის განრომისათვის;

ვითარ ჯერ-არს აღსარებათა თქმა წინაშე მოძღვრისა მოწაფისა მიერ, რომლისა კიდე შეუძლებელ არს ცხორება;

უფროსად წმიდის ზიარებისათვის განმზადება;

ცოლ-ქმართ ნათესავნი (ერთვის მინაწერი: ნამუშავევნი სულხან-საბა ორბელიანისა);

შვიდი ხარისხი მღვდელობისა;

მოკლედ ამბავნი წმიდისა სახლისანი ([ერთვის მინაწერი]: გარდმოვიღე რომანელთა წიგნისაგან მე, სულხან-საბა ორბელიანმან, რომელმან თვთ ვიხილე თუალითა ჩემითა წმიდა სახლი იგი);

[მსოფლიო კრებათა შესახებ, – ჩამოთვლილია ის თორმეტი მსოფლიო კრება, რომელთაც კათოლიკე ეკლესია აღიარებდა];

წამება წმიდისა ფლავიოს კლემენტოსისა და მისთანა სხვათა;

ლოცვა უწინარეს ლოცვისა დაწყებად;

[რომაული ქორონიკონი, – რომის მოკლე ქრონოლოგია, დაწყებული ქალაქის დაარსებიდან].

კიდევ, იმ მონაკვეთში, სადაც მოცემულია „ლოცვა სრვის მოსვლის განრომისათვის“, მოთავსებულია ორსტროფიანი ლექსი, რომელიც ეძღვნება „სრვის მკურნალ“ წმიდა როკეს და რომელიც, შესაძლოა, საბას ეკუთვნოდეს (ყოველი შემთხვევისას, ლექსის ავტორობის გამო ამგვარი შეხედულება უკვე გამოთქმულა, თუნდაც არცთუ მტკიცედ: ქუთათელაძე 1973, 115):

გიხაროდენ, წმიდა როკე, აზნაურთა ტომთა ძეო,
დაგენიშნა წმიდა ჯვარი მარცხენასა გვერდსა ზეო,
როკე, მწირად სიარულით სენთ კურნება შეახეო,
ტკივნეულთა შენ აცხონებ, სრვათა ულხენ ზედიზეო.

გმადლობ, როკე, სრვათ მკურნალო, რომ აღადგენ შეხებითა,
განგაღვიდა ანგელოზმან ღმრთის ბრძანებით, მისის წმითა,
ყოვლს სენთაგან ქრისტიანთა განარინებ სწრაფად ღმრთითა,
მისგანა გაქვს მონიჭებით მადლი ესე ჩვენებითა.

სხვათა შორის, გასათვალისწინებელია სულხან-საბა ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის შთამბეჭდავი სახე და მისი პიროვნული მნიშვნელობა ქართული ლექსის ფორმობრივი მხარის განახლებისას.

რაც შეეხება კრებულის ყველაზე ვრცელ ტექსტს, რომლითაც, საერთოდ, იწყება, კრებულის შემადგენლობა, – „საქრისტიანო მოძღვრება: სამოთხის კარი“, – ეს ნაწარმოები ქრისტიანული სარწმუნოების სახელმძღვანელოა, რომელიც, მართალია, მოძღვარსა და ყრმას, ანუ მასწავლებელსა და მოწაფეს შორის კითხვა-პასუხებად დალაგებული ტექსტია, მაგრამ ის თხზულების მკითხველად გულისხმობს ნებისმიერი ასაკის იმ ქრისტიან მორწმუნეს, რომელსაც სარწმუნოებრივი ცხოვრების საწყისი ცოდნის მოპოვება სწადია.

გამოითქვა ვარაუდი, რომ საბამ თავდაპირველად შექმნა კონფესიურად ნეიტრალური სახელმძღვანელო, რომელშიც შეგნებულად უყურადღებოდ იყო დატოვებული აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საკამათო დოგმატური საკითხები; რომ მან წიგნში მხოლოდ შემდგომ შეიტანა უეჭველად კათოლიკური მოძღვრების ამსახველი მკაფიო პასუხები. მასალის საფუძვლიანი გაცნობა გამორიცხავს ამგვარ დასკვნას, – მტკიცედ უნდა ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანის „საქრისტიანო მოძღვრების“ ერთადერთ ავტორისეულ რედაქციად უნდა იქნეს მიჩნეული ტექსტი, რომელიც შესულია ავტოგრაფში, ანუ ამ „სასულიერო კრებულში“ (ტექსტი გამოქვეყნებულია: ორბელიანი, 1963, 225-334 – B რედაქცია; ორბელიანი 2004, 17-107).

საბოლოოდ, მთავარი ისაა, რომ არსებობს ამ თხზულების ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხა, რომელიც მოთავსებულია სასულიერო შინაარსის თხზულებათა და ცნობათა თავად სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილ და გადაწერილ კრებულში.

ამ თხზულებაში დაუფარავადაა გაცხადებული საბას სარწმუნოებრივი აღმსარებლობა, მისი კონფესიური პოზიცია, რაც განსაკუთრებულად აშკარად გამოიხატა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ დასავლეთს შორის ყველაზე მეტად შეუთანხმებელ დოგმატურ საკითხთა, – სული წმიდის გამომავლობისა და რომის ეპისკოპოსის უპირატესობის, – განხილვისას. ორივე ამ ნიშნული შემთხვევისას, საბას დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნად, უეჭველად ასახავს და გამოხატავს კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებას.

სული წმიდა, ღმერთი და უფალი, რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს და მამისა და ძისა თანასწორ არს, დაუსაბამო და დაუსრულებელი და ყოველთა შემოქმედი, ვითარცა მამა და ძე (ორბელიანი 2004, 54);

ვინათგან შეიყვარა ქრისტემან სძალი თვისი – წმიდა ეკლესია და ბრძანა ერთი შესაკრებელი ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა და რომელმანცა ნათელილოს და რწმენეს მართალი სარწმუნოება იესო ქრისტესი, მათგან ჯერ-არს მორჩილება რომის პაპისა, რომელი დაადგინა გამგებელად ეკლესიისა და შემდგომად ქრისტესა ქუეყანასა ზედა მჯდომარე არს (ორბელიანი 2004, 54-55).

ასევე, სავსებით კათოლიკურ მოძღვრებას წარმოადგენს რომის ეპისკოპოსის, როგორც ქრისტეს მოსაყდრისა და წმიდა პეტრეს მემკვიდრის, ეკლესიაში პირველობისა და უზენაესობის დასაბუთება (ორბელიანი 2004, 55-56), ამას გარდა, სალხინებლის აღიარება (ორბელიანი 2004, 103), კიდევ, კათოლიკური თეოლოგიისათვის ჩვეული უსრული და სრული სინანულის (attritio/contritio) ერთმანეთისაგან განსხვავება და გამოიჯნა (ორბელიანი 2004, 73), ხოლო რაც შეეხება საღმრთისმსახურო ცხოვრებას, საგანგებოდ კათოლიკურია წმიდა მარია-მისადმი მიმართული სავარდის ლოცვა – „გიხაროდენი“ (საბა 2004, 49), რომელსაც ამგვარი სახით არ იცნობს ქრისტიანული აღმოსავლეთი და რომელიც ქრისტიანულ დასავლეთში საბოლოოდ მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ, თუ „საქრისტიანო მოძღვრებაში“ მოხსენიებულია ეს ლოცვა, თავად კრებულში ამ ლოცვას მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს მიპყრობილი და სრული სახითაა წარმოდგენილი.

ამიტომ მოულოდნელი არ იყო, რომ ამგვარი აღმსარებლობის გამო კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონი პირველმა, რომელმაც, სავარაუდოა, მოსკოვში გაიცილა საბასეულ ავტოგრაფში დაცული „საქრისტიანო მოძღვრების“ ტექსტი (ხელნაწერი იმ დროს სწორედ მოსკოვში ინახებოდა), ასე დაახასიათა ეს თხზულება: „სამოთხის კარი, გარნა ჯოჯოხეთის ბჭე აღწერა სულთა წარწყმედად“ (ბაგრატიონი 1980, 282). ქართველი მღვდელმთავრის ეს სიტყვები აღმოსავლურ-ბიზანტიური დოგმატურ-კანონიკური განჩინება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული აღმოსავლურქრისტიანული ტრადიციისათვის მიუღებელი აღმოჩენილა საბას კონფესიურ-საეკლესიო არჩევანი, ამ ტრადიციის მატარებლებს მაინც უყურადღებოდ არ დარჩენიათ „საქრისტიანო მოძღვრების“ ცხადად შესამჩნევი მახასიათებლები, – ქრისტიანული გადმოცემის საფუძვლიანი ცოდნა, მოძღვრების დალაგების მთლიანობა, საკითხების დამაჯერებელი დასაბუთება, მსჯელობის სისხარტე, თხრობის სადა ენა, – რასაც შედეგად მოჰყოლია საბასეული ტექსტის შენარჩუნება და გავრცელება, ოღონდ მისი იდეურ-კონფესიური გაცხრილვის შემდგომ.

შეკითხვა საბას „საქრისტიანო მოძღვრების“ წარმოშობისა და წყაროს შესახებ ჯერ კიდევ 1887 წელს დაუსვამს და უპასუხოდვე დაუტოვებია პეტრე უმიკაშვილს (სხვათა შორის, აღმსარებლობით კათოლიკეს), რომელსაც ამ თხზულების ერთ-ერთ ხელნაწერზე (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-1506) ასე მიუწერია: „ეს „სამოთხის კარი“ არის რომის კათოლიკეთა კეტეხიზმო, რომელსაც უწოდებენ საქრისტიანო მოძღვრებას (ხალხში – „ვინ დაგადა“-ს). იქნება ეს იყოს ნათარგმნი ანუ გადმოკეთებული იტალიანურ ან სომხურ კათოლიკეთა კატეხიზმოსი?“ (ორბელიანი 1963, 341). უნდა ითქვას, რომ ეს შეკითხვა დღემდე პასუხგაუცემლად რჩება.

ამჟამად, შესწავლის ამ ეტაპზე, შეუძლებელია დაბეჯითებით და გადაწყვეტილად ითქვას, თუ რას წარმოადგენს საბას ავტოგრაფულ ხელნაწერში მოთავსებული „საქრისტიანო მოძღვრება: სამოთხის კარი“: არის ეს ტექსტი სწორედ ის სამოძღვრო სახელმძღვანელო, რომელიმე ლათინური ან იტალიური ტექსტის თარგმანი, შესრულებული ჯუსტინო ლიგორნელის მიერ და შემდგომ რედაქტირებული სულხან-საბა ორბელიანის ხელით (რასაც მიანიშნებენ ადრეული წყაროები, რომელთა მიხედვით, წიგნი ქართულად ერთად დაუმუშავებიათ იტალიელ მღვდელს, დონ ჯუსტინო ლიგორნელს და სულხან-საბა ორბელიანს) თუ ის საბას საკუთარი, იმთავითვე ქართულად დაწერილი თავისთავადი ნაწარმოებია. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ არსებითად უნდა გამოირიცხოს კვლევათა მიზანდასახულობის ორივე ეს უკიდურესი ზღვარი, ორივე უკიდურესი პასუხი, რადგან არცერთი მათგანი არ შეესაბამება წერილობითი ტექსტის (ანდა

ტექსტის ორიგინალობის) მიმართ ეპოქისმიერ დამოკიდებულებას: იმ-თავითვე არაა მოსალოდნელი, თუნდაც თარგმანის შემთხვევისას, რომ მკითხველს სთავაზობდნენ თავდაპირველი ტექსტის სიტყვასიტყვით გადმოქართულებას; ისევე როგორც იმ შემთხვევისას, თუ არსად მოიძებნა „საქრისტიანო მოძღვრების“ უშუალო პროტოტიპი, ამგვარადვე სრულიად არაა მოსალოდნელი, რომ საბას თავისი დოგმატური სახელმძღვანელო დაეწეროს წინამორბედთა ნაღვაწით ნაყოფიერი სარგებლობის გარეშე (სავარაუდოა იტალიელ სამღვდელთა პირთა წიგნიერი თუ ზეპირი დახმარება, ან შესაძლებელია, – თუმცა ნაკლებად, – სომხური კათოლიკური წიგნური წყაროს გამოყენება). თუმცა ისიც სათქმელია, რომ სინამდვილე, შესაძლოა, ამგვარი იყოს: ლათინურიდან (ან იტალიურიდან) ნათარგმნი კატექიზმო, სავარაუდოდ, საბას ჩაუსწორებია, გადაუმუშავებია, შემდგომში კი იმ კრებულში ჩაუწერია, რომელშიც კათოლიკური სასულიერო-საეკლესიო ტექსტები შეუტანია და თან წაუყოლებია რომში (ღალანიძე 2009, 139; ღალანიძე 2021, 29-30).

სხვათა შორის, ის ჰიპოთეზური მსჯელობა, გამოთქმული მკვლევართა მიერ, რომ „სასულიერო კრებული“ საბას შეუდგენია საკუთარ საჭიროებათა გამო, რომში გამგზავრებამდე, თუკი ის ნამდვილად მისაღებია, კიდევ უფრო საეჭვოდ ხდის „საქრისტიანო მოძღვრების“ ორიგინალობის თვალსაზრისს.

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სულხან-საბა ორბელიანი თავისი კრებულის მხოლოდ რამდენიმე ტექსტს აღნიშნავს საკუთარი, პირადი ავტორობით და მათ შორისაა, ასევე, „საქრისტიანო მოძღვრება: სამოთხის კარი“.

საბოლოოდ, მეტად მნიშვნელოვანია, რომ საბასეულ ხელნაწერ კრებულში თუნდაც მოკლედ ჩამოყალიბებული დოგმატიკის საკითხები, თუნდაც ეკლესიოლოგიური ან მორალური მოძღვრება, თუნდაც ლიტურგიული წესები და ლოცვითი გამოცდილება ეფუძნება და სწორად ასახავს კათოლიკური სარწმუნოების სწავლებასა და პრაქტიკას.

სულხან-საბა ორბელიანის „სასულიერო კრებული“ ნამდვილად იმსახურებს საგანგებო ყურადღებას, მაგრამ, უწინარესად, აუცილებელია მისი სრული სახით გამოქვეყნება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბაგრატიონი, ანტონ. 1980. *წყობილსიტყვაობა*. თბილისი: მეცნიერება. Bagrat'ioni, Ant'on. 1980. *Ts'qobilsit'qvaoba*. Tbilisi: Metsniereba.
- კეკელიძე, კორნელი. 1980. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტომი I. თბილისი: მეცნიერება, 1980. K'ek'elidze, K'orneli. 1980. *Dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria*. T'omi I. Tbilisi: Metsniereba, 1980.
- ორბელიანი, სულხან-საბა. 1963. *თხზულებანი: ოთხ ტომად*, ტომი III, გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა. თბილისი: საბჭოთა საქართველო. Orbeliani, Sulkhan-saba. 1963. *Tkhzulebani: otkh t'omad*. T'omi III, gamosatsemad moamzada ivane lolashvilma. Tbilisi: Sabch'ota sakartvelo.
- ორბელიანი, სულხან-საბა. 2004. *სამოთხის კარი: საქრისტიანო მოძღვრება*. გამოსაცემად გაამზადა მერაბ ლაღანიძემ. თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა. Orbeliani, Sulkhan-saba 2004. *Samotkhis k'ari: sakrist'iano modzghvreba*. gamosatsemad gaamzada merab ghaghanidzem. Tbilisi: Krist'ianuli teologiisa da k'ult'uris tsent'ris gamotsema.
- ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1985. *ტომი I*, ნაკვეთი 4: ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. თბილისი: მეცნიერება. Kartul khelnats'erta aghts'eriloba, 1985. *T'omi I*, nak'veti 4: qopili saek'lesio muzeumis (A) k'olektsiisa. Tbilisi: Metsniereba.
- ქუთათელაძე, ლილი. 1973. *ს.-ს. ორბელიანის კონფესიური შეხედულებანი მისი ლექსიკონის მიხედვით*. კრ-ში: მრავალთავი, III. თბილისი: მეცნიერება. Kutateladze, Lili 1973. *S.-S. Orbelianis k'onpesiuri shekhedulebani misi leksik'onis mikhedvit*. In: Mravaltavi, III. Tbilisi: Metsniereba.
- ლაღანიძე, მერაბ. 2009. „სამოთხის კარის“ *ტექსტის ისტორია: წყაროები, რედაქციები, კონფესიური პოზიციები*. კრ-ში: სულხან-საბა ორბელიანი – 350: საიუბილეო კრებული. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. Ghaghanidze, Merab. 2009. „Samotkhis k'aris“ *t'ekst'is ist'oria: ts'qaroebi, redaktsiebi, k'onpesiuri p'ozitsiebi*. In: Sulkhan-Saba orbeliani – 350: sauibileo k'rebuli. Tbilisi: Lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba.
- ლაღანიძე, მერაბ. 2021. „სამოთხის კარის“ *ტექსტის ისტორია: წყაროები, რედაქციები, კონფესიური პოზიციები*. კრ-ში: ლაღანიძე, მერაბ. ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 1. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. Ghaghanidze, Merab. 2021. „Samotkhis k'aris“ *t'ekst'is ist'oria: ts'qaroebi, redaktsiebi, k'onpesiuri p'ozitsiebi*. In: Ghaghanidze, Merab. Lit'erat'ura, k'ult'ura, religia, 1. Tbilisi: Sakartvelos p'arlament'is erovnuli bibliotek'a.

Sulkhan-Saba Orbeliani's „Theological-Spiritual Collection“: Composition and Purpose

The Korneli Kekelidze National Manuscript Center holds manuscript A-303, an autograph by Sulkhan-Saba Orbeliani, which comes from the former Church Museum's collection.

The first part of the manuscript, about one-third of the whole, is called 'Christian Doctrine' or 'The Gate to Paradise.' It is a question-and-answer text between a teacher and a student. Its goal is to briefly describe the main ideas of Christian faith, morality, and worship.

This section's long handwritten title is: 'Christian Doctrine for First-Time Learners, written by Sulkhan-Saba Orbeliani, Which Is Called the Gate to Paradise: A Guide to Faith in the Right and Immaculate Law, Given to Us by the Holy Fathers.' This work seems to have been well-known and widely shared from early on. Copies of it, as well as the autograph, appear in over twenty Georgian manuscripts. This shows its wide attention and use in both public and church settings. It is also important that, despite being revised several times, the text received many direct responses from others at the time and later on. Its role in Georgian Catholic literature is also important.

The manuscript, which has never been fully published, also includes other texts of different lengths and purposes. Some are clearly marked as compiled and prepared by Sulkhan-Saba Orbeliani himself.

This 'Theological-Spiritual Collection' by Sulkhan-Saba Orbeliani, which he likely had during his Roman pilgrimage, was probably copied for his own use to help him better understand Catholic teachings and church services.

The manuscript's brief statements on Christian teaching, church practices, morals, worship rules, and prayer accurately reflect the Catholic Church's beliefs and practices.

Keywords: *Sulkhan-Saba Orbeliani, Catholic Teaching, manuscript, autograph*